საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებულ თეონა გიუაშვილსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საფრანგეთში უცხოელების მართვის დირექტორატის, მიგრაციის სამსახურის დირექტორ უგ ბეზანსენოს (Hugues Besancenot) შორის გამართული შეხვედრის საუბრის ჩანაწერი

2019 წლის 23 იანვარი, ქ. პარიზი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ანალიზისა და სამართლებრივი მხარდაჭერის სამსახურის უფროსი ვენსან ნატურელი (Vincent Naturel), საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი მეგი ტაბატაძე და საელჩოს პოლიციის ატაშე ლაშა მედულაშვილი

***შეხვედრის ხანგრძლივობა** - 2.00 საათი*

საუბრის ჩანაწერი

უგ ბეზანსენო:

- მოგესალმებით, მადლობას გიხდით მობრძანებისთვის. მოხარული ვარ, რომ დათანხმდით ჩვენს შემოთავაზებას და დღეს საშუალება გვექნება ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და ვიმსჯელოთ პრობლემების მოგვარების გზებზე.
- როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის ივლისის თვეში გაიმართა საფრანგეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის გაძლიერება და პრობლემების/გამოწვევების ეფექტური მართვა. შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა.
- დღევანდელ შეხვედრაზე მსურს ვისაუბროთ ორი ძირითადი საკითხის გარშემო - თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობისა და მკურნალობის მიზნით დროებითი ბინადრობის მოწმობაზე მოთხოვნათა მკვეთრი მატება.
- მოგახსენებთ, რომ უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ საქართველოდან საფრანგეთში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა და საქართველომ მე-17 ადგილიდან მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.
- საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვის ოფისმა (OFPRA) შეამცირა თავშესაფრის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. მაგალითად, 2016 წელს დადებითად განიხილეს მოთხოვნების 12%, 2017 წელს - 7%, ხოლო 2018 წელს მაჩვენებელი 5%-მდე შემცირდა.
- თავშესაფრის მაძიებელთა სიმრავლემ ევროპის ქვეყნებში კრიმინალის მაჩვენებელიც გაზარდა, თუმცა საფრანგეთში პრობლემა არ არის ისეთი მასშტაბური, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში. ჩვენი ინფორმაციით, შვედეთში ამ კუთხით საკმაოდ რთული ვითარებაა, ორგანიზებულ დანაშაულში უმეტესწილად (50%) საქართველოს მოქალაქეები არიან მხილებული (!).

- საქართველო 'უსაფრთხო ქვეყნების' რიცხვს განეკუთვნება, რაც მიანიშნებს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ დადებით გარემოზე და ნაკლებად მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ ამ ქვეყნიდან არსებობდეს თავშესაფარზე მზარდი მოთხოვნა.
- საგრძნობლად მოიმატა საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მიღების მოთხოვნამ სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით, რაც ძალიან სამწუხაროა. საფრანგეთში ძირითადად მძიმე ონკოლოგიური დაავადებების, ტუბერკულიოზის და ჰეპატიტის სამკურნალოდ ჩამოდიან. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ მოქალაქეების საკმაოდ დიდ რაოდენობას ამ მიზნით უწევთ საფრანგეთში ჩამოსვლა. ჩვენ ვისურვებდით, რომ მათი ჩამოსვლის მიზეზი შეიცვალოს და ისინი სასწავლებლად ან ტურისტად ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში.
- საფრანგეთის პრეზიდენტი ინფორმირებულია ორივე პრობლემის თაობაზე და დაგეგმილია აღნიშნული საკითხის განხილვა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, მ.წ. 19 თებერვალს.

თეონა გიუაშვილი:

- მადლობა დღევანდელი შეხვედრის ინიცირებისთვის.
- საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრანგეთმა უვიზო რეჟიმის ამოქმედების პროცესში და მსურს გამოვხატო ჩვენი მადლიერება კონსტრუქციული და ეფექტური თანამშრომლობისთვის.
- სამწუხაროდ, არსებობს ცალკეული პრობლემები, გამოწვევები, მაგრამ საერთო ძალისხმევით და აქტიური თანამშრომლობით შევძლებთ ამ სირთულეების გადალახვას.
- საქართველოს ხელისუფლება სრული პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ ვალდებულებას. განახორციელდა ეფექტური ღონისძიებები საკანონმდებლო დონეზე არსებული პრობლემებზე რეაგირების მიზნით. გვარის შეცვლის პროცედურასთან დაკავშირებულ ცვლილებამ გამოიწვია გვარის შეცვლის მსურველთა რაოდენობის შემცირება 40%-ით.
- გარდა ამისა, შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების შეტანას თავშესაფრის მოთხოვნის ბოროტად გამოყენების ხელშეწყობის კრიმინალიზაციის მიზნით და ასევე საზღვარზე გასვლაზე კონტროლის გაძლიერების კუთხით. ცვლილებების პროექტებმა ერთი მოსმენა უკვე გაიარა და უახლოეს მომავალში ჩაინიშნება მეორე და მესამე მოსმენები.
- მიუხედავად განხორციელებული მექანიზმებისა, მიგვაჩნია, რომ თქვენი ჩართულობა და თანამშრომლობა გადამწვეტია პრობლემის მოგვარების პროცესში - პირველ რიგში, OFPRA-ს მიერ თავშესაფრის მოთხოვნათა განხილვის პროცესის დაჩქარება და მოთხოვნათა დაკმაყოფილების პროცენტის გადაფასება.
- არაერთხელ შევეცადე, შევხვედროდი OFPRA წარმომადგენელს, მაგრამ ამაოდ. მიზანს წარმოადგენს მათთან არსებული მდგომარეობის განხილვა, მეტი ინფორმაციის მიღება, რაც დაგვეხმარება მოგვარების გზების დაგეგმვაში. ჩვენი თხოვნაა, დაგვეხმაროთ მათთან შეხვედრის ორგანიზებაში და მიაწვდინოთ ჩვენი საზრუნავი. [თ. გიუაშვილმა ისაუბრა ასევე კომუნიკაციის სტრატეგიაზე; გერმანიის მიერ მიღებული ზომების ეფექტურობაზე]

ლაშა მედულაშვილი:

- დადგენილი წესების შესაბამისად, როდესაც პირს თავშესაფარზე აქვს მოთხოვნა შეტანილი, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათი დაკავება არ შეიძლება. გვაინტერესებდა, საბუთების განხილვამდე საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვის ოფისი (OFPRA) სწავლობს თუ არა განმცხადებლების სამართლებრივ მდგომარეობას, მაგალითად, იძებნება თუ არა ეს პირი, იყო თუ არა პასუხისგებაში მიცემული.

უგ ბეზანსენო:

- საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვის ოფისი (OFPRA) დამოუკიდებელი ინსტიტუტია, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია მსგავსი დეტალების შესახებ. რაც შეეხება შეხვედრის ორგანიზებას, ვფიქრობ ეს სასურველი იქნება ორივე მხარისთვის და ვეცდებით შეხვედრის ორგანიზებაში დაგეხმაროთ.
- საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვის ოფისი (OFPRA) პრიორიტეტს ანიჭებს საქართველოსა და ალბანეთის მოქალაქეთაგან მიღებული მოთხოვნების განხილვას. თუკი სხვა ქვეყნების შემთხვევაში, განხილვას ესაჭიროება 6 თვე, თქვენს შემთხვევაში განხილვა გრძელდება 3 თვემდე და განზრახულია პერიოდის კიდევ უფრო შემოკლება.
- სამწუხაროდ, საქართველოდან უმეტესწილად თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით ჩამოდიან, საჭიროა მოსახლეობასთან კომუნიკაცია, რათა მათ აუხსნათ, რომ საფრანგეთში გარდა თავშესაფრისა ჩამოსვლის სხვა მიზეზებიც არსებობს და ეს სიტუაცია საქართველოს იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს.

თეონა გიუაშვილი:

- გრძელდება საქართველოს მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები იმ რისკებისა და საფრთხეების შესახებ, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს შეგნების ქვეყნებში მოგზაურობის პროცედურების დარღვევით. ამჯერად გადავედით კომუნიკაციის მესამე ტალღაზე.

უგ ბეზანსენო:

- მივესალმებით თქვენს ძალისხმევას და იმედი გვაქვს, შეხვედრები შედეგის მომცემი იქნება.
- მსურს გესაუბროთ ასევე საჰაერო და სახმელეთო მარშრუტების შესახებ, რა გზითაც ახერხებენ საქართველოს მოქალაქეები საფრანგეთში შემოსვლასა და თავშესაფრის მოთხოვნას.
- საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის დროს, სასურველია საბუთები შემოწმდეს ადგილზევე და პრობლემის არსებობის შემთხვევაში, არ მიეცეს ამ პირს საზღვრის დატოვების უფლება.

თეონა გიუაშვილი:

- პარლამენტში მიმდინარეობს კონსულტაციები, რათა კანონპროექტი შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის გადაადგილების უფლების ხელშეუხებლობასთან.

უგ ბეზანსენო:

- საფრანგეთი გეგმავს, აამოქმედოს ჯარიმა იმ საავიაციო კომპანიების წინააღმდეგ, რომელთა რეისითაც შემოდის საფრანგეთში არალეგალური მიგრანტი - კანონმდებლობა ითვალისწინებს მაღალ სანქციებს, 10000 ევრო თითოეულ არალეგალურად შემოსულ მგზავრზე, რომელიც არ აკმაყოფილებდა შენგენის ზონაში შემოსვლის პირობებს და კომპანიის წარმომადგენლებმა მაინც დაუშვეს ბორტზე.
- საფრანგეთი შემოსვლაზე აკრძალვას დააწესებს ასევე იმ პირებისთვისაც, რომელთაც უკვე დაარღვიეს წესები და საფრანგეთის ტერიტორიიდან „გაძევებულები“ იყვნენ წარსულში.
- საჰაერო გზების გარდა, მთავარი დატვირთვა მოდის ასევე სახმელეთო გზებზეც. საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეები არაპირდაპირი გზით ახერხებენ შემოსვლას, ძირითადად იტალიის ან ესპანეთის გავლით.
- 2015 წლის 13 ნოემბრის ტერაქტის შემდეგ, საფრანგეთმა აღადგინა შიდა საზღვრების კონტროლი. მეტად უცნაურია, რომ აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეები მაინც ახერხებენ საზღვრის გადაკვეთას იტალიიდან ან ესპანეთიდან და ხშირად ყალბი პასპორტებით შემოდიან ქვეყანაში.
- საფრანგეთი მუშაობს იტალიასთან და ესპანეთთან, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს სახმელეთო გზით არალეგალური მიგრაციის გაკონტროლება. საჭიროა თქვენი მხრიდან თანადგომაც, მაგალითად, პასპორტის და საბუთების გაყალბების აღმოფხვრის კუთხით.
- სამწუხაროდ, სულ უფრო გახშირდა სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან ცხოვრების უფლების მოთხოვნა. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მძიმე ონკოლოგიური დაავადებების, ტუბერკულიოზისა და ც ჰეპატიტის სამკურნალოდ ჩამოდიან საფრანგეთში.
- მძიმე სნეულებებით დაავადებული ადამიანები საფრანგეთში ითხოვენ ცხოვრების უფლებას მკურნალობის მიზნით - 1 წლიდან 3 წლამდე, რათა ისარგებლონ უფასო მკურნალობით.
- სამედიცინო კუთხით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის ზრდა ხდება იმ ქალაქებში, სადაც კონცენტრირებულია სამედიცინო ცენტრები - პარიზი, სტრასბურგი, ტულუზა და მონპელიე.
- საფრანგეთი გააგრძელებს ამ ადამიანების მკურნალობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დიდ სახელმწიფო ხარჯებთან არის დაკავშირებული და პრობლემაც ფართო მასშტაბებს იღებს. სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს გამოსავალი, მაგალითად შემუშავდეს დაავადებების სამკურნალო პროგრამები, როგორც ეს ტუბერკოლოზისა და ც ჰეპატიტის შემთხვევაში განხორციელდა.
- გარდა ამ სამწუხარო ფაქტებისა, თანდათანობით იმატებს ბარბაროსული შემთხვევებიც, როდესაც პაციენტს საქართველოში აჭრიან თირკმელს, ჩამოდის საფრანგეთში და ითხოვს მკურნალობას.

- ჩვენდა გასაოცრად, მსგავსი შემთხვევები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების მხრიდან დაფიქსირდა. დღესდღეობით დაახლოებით 10 მოქალაქე მკურნალობს მსგავსი მიზეზით.
- აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია საფრანგეთის პრეზიდენტიც და სავარაუდოდ პრეზიდენტების შეხვედრის დროს, თებერვალში მოხდება შემთხვევების განხილვაც.

ლაშა მედულაშვილი:

- სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა ინფორმაცია ამ მართლაც სამწუხარო ფაქტების შესახებ. გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებით ინფორმაცია, რათა ჩვენი მხრიდანაც მოხდეს პროცესში ჩართვა და გამოძიება.

უგ ბეზანსენო:

- აუცილებლად მოგაწვდით ინფორმაციას. ერთობლივი ძალისხმევით უფრო მარტივად შევძლებთ პრობლემის მოგვარებას.
- როგორც მოგეხსენებათ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მიგრაციის საკითხებში მეკავშირე ოფიცრის (OLI) თანამდებობის დამატება. ამჟამად ველოდებით მიგრაციის ოფიცრის მოხსენებას, რომელიც 2018 წლის ბოლოს იმყოფებოდა საქართველოში. მოხსენების შემდეგ ზუსტად განვსაზღვრავთ საქართველოში საფრანგეთის ოფიცრის კომპეტენციას.
- ჩემი ინფორმაციით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ მოხსენებას საქართველოში 2019 წლის მეორე ნახევარში გააგზავნის.
- სამოქმედო გეგმის სწრაფად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, სასურველია ჩვენს შეხვედრებს რეგულარული ხასიათი მიეცეს. მაგალითად დაიგეგმოს შეხვედრები ყოველ 2-3 თვეში ერთხელ.

თეონა გიუაშვილი:

- მივესალმებით თქვენს ინიციატივას, მზად ვართ აქტიურად გავაგრძელოთ თქვენთან თანამშრომლობა, ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტურად მოვაგვაროთ არსებული პრობლემები.
- მადლობას მოგახსენებთ საინტერესო შეხვედრისთვის.

უგ ბეზანსენო:

- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

საუბრის ჩანაწერი მოამზადა
საფრანგეთში საქართველოს საელჩოს
უფროსმა მრჩეველმა მეგი ტაბატაძემ